ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №1369346

ნომერი: AR1232613

თარიღი : 27.06.2014

გაცემის თარიღი : 04.07.2014

გაცნობის თარიღი : 16.07.2014

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , გლდანი-დიღომის შემაერთებელი გზა , ავტომანქანების ბაზრობა , მოპირდაპირედ , (ნაკვეთი 1/56) ; ქალაქი თბილისი , გლდანი-დიღმის შემაერთებელ გზაზე , ავტომანქანების ბაზრობის მოპირდაპირედ; ქალაქი თბილისი , გლდანი-დიღმის შემაერთებელ გზაზე , ავტომანქანების ბაზრობის მოპირდაპირედ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- კახაბერ აბულაძე პ/ნ 01008021793
- თბილისი ნ.ცხვედაძის ქ. N 56

ნომენკლატურა :

- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები
- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილება

ქალაქ თბილისის მერიის სსიპ – ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურის 29.10.2013 წლის #963253 გადაწყვეტილებით დამტკიცებულ სამშენებლოდ მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობებში ცვლილების შეტანის თაობაზე

ქალაქ თბილისის მერიის სსიპ – ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურს 27.06.2014 წ. #AR1232613 განცხადებით მომართა კახაბერ აბულაძემ და მოითხოვა 29.10.2013 წლის #963253 გადაწყვეტილებით დამტკიცებულ მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობებში ცვლილების შეტანა, კერძოდ, ახალი საპროექტო ობიექტის დაფიქსირებასთან დაკავშირებით.

სამსახურმა საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის მოთხოვნათა

შესაბამისად შეისწავლა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ ქალაქ თბილისის მერიის სსიპ – ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურის მიერ 29.10.2013 წ. #01.13.01.001.053, #01.13.01.001.059 და #01.13.01.001.056 საკადასტრო ერთეულებზე საზოგადოებრივი კვების ობიექტის (სწრაფი კვების ობიექტი) აშენების მიზნით დამტკიცდა #963253 სამშენებლოდ მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობები. საპროექტო ტერიტორიის სამშენებლოდ განვითარების ფუნქციური ზონაა სარეკრეაციო ზონა 2 (რზ–2) და სატრანსპორტო ზონა 1 (ტზ–1).

განმცხადებელი ითხოვს სამსახურის 29.10.2013 წლის #963253 გადაწყვეტილებით დამტკიცებული სამშენებლოდ მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობებში ცვლილების შეტანას საპროექტო ობიექტის ფუნქციის შეცვლასთან დაკავშირებით, კერძოდ: საგამოფენო დარბაზის დაფიქსირება.

სამსახურის 29.10.2013 წლის #963253 გადაწყვეტილებით დამტკიცებული მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები გაცემულია – სარეკრეაციო ზონა 2 (რზ–2) და სატრანსპორტო ზონა 1 (ტზ–1)–ის პარამეტრებით და პირობებით. დღევანდელი მდგომარეობით საპროექტო მიწის ნაკვეთზე ვრცელდება იგივე ფუნქციური ზონები.

საკითხი ტერიტორიაზე სპეციალური ზონალური ნებართვის გაცემის თაობაზე განიხილა "ქ. თბილისის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების საკითხთა კომისიის" 2014 წლის 2 ივლისის 25 სხდომამ, რომლის დადებითი რეკომენდაციის საფუძველზე გამოიცა ქ. თბილისის მერის განკარგულება, საპროექტო ტერიტორიაზე საგამოფენო დარბაზის განსანთავსების თაობაზე. აღნიშნულის გათვალისწინებით, ქალაქთმშენებლობითი თვალსაზრისით სამსახურს შესაძლებელად მიაჩნია განცხადებლის მიერ მოთხოვნილი ცვლილების განხორციელებაზე დადებითი დასკვნის გაცემა. ზემოაღნიშნულ დოკუმენტში საპროექტო ობიექტად დაფიქსირდეს საგამოფენო დარბაზი.

"მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების თანახმად, მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში უნდა აისახოს კანონმდებლობით განსაზღვრული ის სავალდებულო მოთხოვნები, რომლებიც აუცილებელია მშენებლობის განხორციელების დოკუმენტების პროექტების შემუშავებისათვის.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში ცვლილების ან დამატების შეტანის უფლება აქვს მის გამომცემ ადმინისტრაციულ ორგანოს.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, სამსახურმა მიზანშეწონილად ჩათვალა, შეიტანოს ცვლილება 29.10.2013 წლის #963253 გადაწყვეტილებით დამტკიცებული სამშენებლოდ მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობებში ახალი საპროექტო ობიექტის დაფიქსირებასთან დაკავშირებით.

"მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57-ე დადგენილების და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად

ვბრძანებ

1. შევიდეს ცვლილება ქ. თბილისის მერიის სსიპ – თბილისის არქიტექტურის სამსახურის 29.10.2013 წლის #963253 გადაწყვეტილებით დამტკიცებული სამშენებლოდ მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობებში, კერძოდ: საპროექტო ობიექტად დაფიქსირდეს საგამოფენო დარბაზი;
2. ქ. თბილისის მერიის სსიპ – თბილისის არქიტექტურის სამსახურის 29.10.2013 წლის #963253 გადაწყვეტილებით დამტკიცებული სამშენებლოდ მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობებს დაემატოს ქ. თბილისის მერის განკარგულება და " ქ. თბილისის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების საკითხთა კომისიის" 2014 წლის 2 ივლისის #25 სხდომის ოქმიდან ამონარიდი;
3. წინამდებარე ბრძანება განხილული იქნას ქ. თბილისის მერიის სსიპ – თბილისის არქიტექტურის სამსახურის 29.10.2013 წლის #963253 გადაწყვეტილებით დამტკიცებული მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებთან ერთად.

• გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მერიაში (მისამართი - ქალაქი თბილისი, ჟ. შარტავას ქ. #7), დაინტერესებულ მხარეთათვის ოფიციალური წესით გაცნობიდან ან გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში.